27 ოკტომბერს (8 ნოემბერს) 1867. № 43. მეორე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

	Გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:	Გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	— 7 მან.	— — — 6 მან.
ნახევრის წლისა	— 4 —	— — — 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 — 50 კ.	— — — 2 —

Ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში „დროების“ redაქციის კანტორაში, შელიქოშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

redაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

redაქციისაგან.

ხელის-მოწერა „დროებაზედ“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბარება შეიძლება

პირველისავე ნუმრიდამ.

redაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მომწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.

შინაარსი. — მთავრობის უწყება: ტფილისი.-Дроების корреспонденция: სადილი ქუთაისის გუბერნიის აზნაურობის წინამძღომელისას.-პოლიტიკა: Франція. Пруссія. Италія. Англія. შეერთებული შტატები. Испанія. — Телеграммები. — ლექსი: ფიქრი სოფელში. — სხვა და სხვა ამბავი. Русіс агитаторы Келсіевъ. Максимиліанеს სიკვდილი. Сомхების патріархის მისვლა მოსკოვს და Петербургъ.-სახაზინო განცხადება.

ტფილისი. მათი იმპერატორებითი უმაღლესობანი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და დიდი მთავრინა ოლგა თეოდორეს ასული მობრძანდნენ ყირიმიდგან ტფილისს ამ ოკტომბრის 24-ს.

„დროების“ კორრესპონდენცია.

ქუთაისიდგან. სადილი გუბერნიის წინამძღომლისას.

შავ-უკულმართი დროებისაგან დათესილი ძველიდგანვე უთანხმოება უბედურებათ მოიმკო საქართველოში, როდესაც ის, საქართველო, განაწილდა რამოდენიმე სამეფოდ და სამთავროებათ. ბაუშელი, ციხურებ შემოზღუდულის ადგილების მდებარეობაც უმარჯვებდა ამ ნაგლეჯ-ნაგლეჯის სამთავროების განკერძოებას. მასთანაც ყოველსავე, რაც კი ეჭირვებოდათ იქ მცხოვრებლებს, თავის სამთავროშივე ჰპოვობენ, სჯერდებოდნენ და ამის გამოსაჭიროთ აღარ რაცხდნენ, რომ რამე მოთხოვნილებისათვის, გარდა ჩხუბისა და მტაცებლობისა, მისვლა-მოსვლა ჰქონოდათ მეზობლებთან.-ეს ხანგრძლივი მეზობლებში ჩხიკინი ბოლოს ზნეთ გადაექცათ ერთ-მიწის შვილებს, ძმური კავშირი გასწყდა მათ შორის და მიზეზიც ეს იყო საქართველოს დაცემისა და გაოხრებისა ალა მაჰმადხანის დროებას.

მხოლოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ ამ სენისაგან გაიკურნა ჩვენი სამშობლო, სამთავროების ერთმანერთთან შეერთებით. ერთი უკანასკნელთაგანი იყო სამეგრელოს სამთავრო და ისიც ამ მოკლეს ხანში შემოუერთდა ქუთაისის ლუბერნიას. — ეს შეერთება სადღესასწაულოთ დაურჩათ, როგორც იმერლებს, ისე მეგრელებსაც და ამ მიზეზისა გამო 23-ს სექტემბერს ქუთაისის ლუბერნიის წინამძღომელმა აზნაურობას გაუკეთა სადილი, სადაც მიწვეული იყვნენ დეპუტატები სამეგრელოს მხრით და მასთანაც მრავალი თავადაზნაურები, როგორს იმერეთის, ისე სამეგრელოსაც. მასპინძლობა, როგორც პურ-მარილობით, ისე გულითაც განთქმულია საზოგადოთ ქართველი კაცისა და ამისთვის საჭიროთ აღარ ვრაცხ საკუთრად ლხინის, ქეიფის და მასპინძლობის აწერას, მე მსურს წარმოვესთქვა რამოდენიმე სიტყვა მხოლოდ იმ სადილის ხასიათზედ: ეს დარბაისლური ლხინი იყო ერთი იშვიათთაგანი ჩვენში, სადაც ჩვეულებრივი მარტო ყანწები არ სტრიალებდენ დაძალებით: „დალიე, თორემ კისერში ჩაგასხამ!“ მაგრამ იქ სტრიალებდა საზოგადოთ პატიოსანი აზრი შემცველი მამულისადმი სიყვარულისა და მისის კეთილ-წარმოების მდომი..— ეს აზრი იყო — თანაგრძნობა ახალ-შთამომავლობისადმი და რჩევა, თუ როგორ უნდა ეცადონ და რა რიგი საშუალება უნდა მოიპოვონ, რომ გზა მისცენ ახალ-თაობას და მით შემოიტანონ საქართველოში განათლება, ძველის სენის გამკურნებელი და ნაცელად კეთილის ცხოვრების მომნიჭებელი. პოპეჩიტლის აზრსაც დიდი თანა-გრძნობა განუცხადა საზოგადოებამ, როდესაც მან ნათლად დაანახვა მათ ქუთაისში მეორე გიმნაზიის გახსნის საჭიროება, რადგანაც მსურველები მრავალი არიან და ადგილი კი ნაკლებ; ასე რომ ერთი გიმნაზია მარტო იმერლებისთვისაც არ არის საკმაო და ახლა, როდესაც სამეგრელოც შამოგვიერთეს, ერთი ორათ საჭირო შეიქნა. — შემდეგ ჩვეულებრივის ვალისამებრ უმაღლესის სადღეგრძელოებისა მასპინძელმა დალია სადღეგრძელო სამეგრელოს და იმერეთის შეერთებისა; მეგრელების მხრითაც შეხვდა სამადლობელი სიტყვა ერთს მათგანს, რომელმაც რიგიანათ გადმოსცა მეგრელების სიხარულიც ამ შემთხვევაში; მეორე სადღეგრძელო იყო ახალ-თაობისა და ახალ-გაზდობისა. ეს სადღეგრძელოც დიდის სიხარულით და თანაგრძნობით მიიღო საზოგადოებამ; არ დარჩენილა არც დიდი, არც პატარა, არც ჭაბუკი და არც მოხუცი, რომ ახალთაობისადმი თანა-გრძნობა და სიყვარული არ გამოეცხადებინოს. (საზოგადოებაც იმასთანა იყო) და იმ დროს სახის გამომეტყველებაც ჰშორავდა ჩვენში ჩვეულებრივს პირმომთნეობას. — მეგრელ-ჭაბუკების სიხარულს ბოლო აღარა ჰქონდა; სამადლობელი სიტყა ერგო ერთს მათგანს, რომელმაც მეგრულათ წარმოსთქვა მადლობა და ქართულათ მეორემ გადმოიღო; ის სიტყვები თვისის სიმართლით და გრძნობით ოქროს ვარაყით დაწერის ღირსი იყვნენ, მით უფრო, რომ ის წარმოთქვა იმისთანა პირებისაგან, რომელიც თავის დღეშიაც არ გაცილებიან სამეგრელოს, თორემ ჩვენ რომ ერთმანერთს გამოუცხადოთ თანაგრძნობა, ის ისე არ დაფასდება, რადგანაც ჩვენ საზოგადოთ ერთი აზრის მექონი ვართ და ერთს და იმავე უღელს ვეწევით.

იმ სადილზედ წარმოთქმული სიტყვები ღირსი იყვნენ, რომ აქ სიტყვა სიტყვად მომეყვანა, მაგრამ გაზეთის სივრცე არ მაძლევს ნებას; უმისოთაც ისე გაგძელდა ეს ჩვენი სტატია, როგორც რამდენიმე გვამების შური ახალ თაობისადმი! . . . . . .

სადილს შემდეგ მე დავესწარ რომელიმე მეგრელი მოხუცებულების ბაასს; მათმა ჭკვიანურმა აზრებმა და მათთანაც ქართული ენის ზედ-მიწევნით ცოდნამა გამაკვირეს; ისინი ისე შერჩენილან ძველთაგან ჩვენს საზოგადოებას, როგორც საიასაღო ნაყოფი უცხო ხეხილსა ზამთრის პირზედ, რომელიც მარტოთ მარტო კოწიალობს დაობლებული ძველს კირწზედ, და ჰა თუ აგერ მოსწყდეს და ჩამოვარდეს და ჰა თუ აგერო... მათთანა გვამებს, დღეს ჩვენ იშვიათათ ეხედავთ ჩვენს შუა ხნის გვამებში! იმათმა ნახვამ მომაგონა ერთი ადგილი ლექსიდან, რომელიც ადრევე გვითქვამს:

„წარსული გულს მწყვეტს, აწ მყო მალონებს,
მომავლისაგან თუმც ბევრს მოველი;
მაგრამ ბევრია ჩვენში გვამები,
ყოვლის კეთილის ხელის შემშლელი.

როდის იქნება ის დრო, რომ ჩვენში
ზიზღით თითებით მათ გვიჩვენებდნენ
და საზოგადოთ არ თუ ღირსებას,
იმათს სახელსაც კი აჩვენებდნენ?!

დაუფარავად პირ-უთნეველად
მრისხანედ სჯიდნენ სულ ივათ ავზედ
და ოდეს მოჰკვდნენ, სამაგალითოდ
ზედ აფურთხებდნენ იმათ .....

ეჰ, თუ ჩვენ ველარ მოვესწრებით იმ ნეტარს დროს განათლებისას, ჩვენი შვილები ხომ მაინც მოესწრებიან! . . . იმედიც კარგია!! . . . ჩვენ გვრწამს საქართველოს ხალხის მომავალი მაღლად გახსნილი ცხოვრება და იმედიც გვაქვს, რომ ამ ბედს მოასწრაფებენ მეგრელები, როგორც უმეტესი ნიჭიერი და მეცადინე ხალხი!.. მართალია მათ დაჰკარგეს ოქროს მატყლოვანი ვერძი, მაგრამ დავიჯეროთ, რომ ნაცვლად ველარ იხელთონ ოქროს დრო? . . . .

აკ. წერეთელი.

პოლიტიკა.

ფრანცია. 13 ოკტომბერს სახალხო გაზეთში იწერებიან პარიჟიდგან: „სასულიერო გაზეთების მოწოდებამ ამაოთ არ ჩაიარა. ამ გაზეთში პაპის მომხრეები ანუ, უკეთ ვსთქვათ, რომის კათოლიკები შემწეობას ითხოვდნენ თავისის მოძმეებისაგან და აი ახლა საჯვაროსნო ომისათვის ყოველგნით იკრიფებიან ვოლონტერები. მარსელიდგან დაიწყეს რომისაკენ წასვლა ვოლონტერებმა. 12 ოკტომბერს სალამოზედ ტულონიდგანაც წავიდნენ ჩივიტა-ვეკიაში 150 კაცი პაპის მისაშველებლათ. რასაკვირველია, რომ თუ რომის საქმეში ევროპის სახელმწიფოები არ გაერიენენ, პაპის წინააღმდეგებიც შეკრებენ ვოლონტერებს და ინსურგენტებს მიაშველებენ.-Gazette de France სთხოვს ყველა კათოლიკეებს, ვინცკი ფრანციაში, ბელგიაში, ბოლლანდიაში, შვეიცარიაში, ისპანიაში, ირლანდიაში და გერმანიაში არიან, რომ რომში პაპას მიეშველნენ და იმისი საერო უფლება მახვილით დაიცვან„. Gazette de France ამბობს, რომ ჩივიტა-ვეკიაში ერთი ციხე-გალავანი არისო, რომელიც დასრულებული არ არის და თავდანებებულიაო; იქ შეიძლება 15—20 ათასმა ჯარმა დაიბანაკოს და გამაგრდესო. ვინც წმ. მამის ერთგული არის, ამ ბანაკში დაუყოვნებლათ გამოცხადდესო. ამ მოწოდებას აწერს უფ. მარლე ღირნიე, რომელიც, გაზეთის Siecle-ის სიტყვით, ბაეტის მომხრე ყოფილა.

— Opinion Nationale“ აი რას ამბობს იტალიის მმართებლობის მოქმედებაზე: „თუ ფრანციის ჯარი მივა რომში, მაშინ იტალია უკან დაიწევს. ამ ჟამათ საზოგადო აზრი ისეა დაწყობილი იტალიაში, რომ ვიკტორემანუელს არ შეუძლიან ფრანციის მუქარებას დაეთანახმოს იმ აზრით, რომ თავისი საკუთარი უფლება და ტახტზე ყოფნა არ შეირყეს. მაშასადამე ჩვენ იტალიაზე მივდიეართ საომრათ, და ის კი არ ეიცით, კარგათ მოვიფიქრეთ თუ არა ამისთანა განზრახვა?“

Patrie ამბობს: „საჭიროა ენერგიულათ შეუდგეთ ამ საქმეს. ამას ითხოვს იტალიის პატიოსნობა და ფრანციის ხელის მოწერა.“

ჩვენს თვალ-წინ სრულდება ძლიერ დიდი საქმე, რომელსაც ორ გვარი თვისება აქვს: პოლიტიკური და სოციალური, ის საქმე რომლითაც ტრაქტატი ირღვევა და რევოლუცია გამარჯვებული რჩება. ამ საქმის გამოისათ საზოგადო ხმას დიდი მნიშვნელობა ეძლევა თავისის უფლებით და საფუძვლების ძალით. ეს საქმე ფრანციისათვის კი დიდი არ არის და ის ამაზედ ბევრს არა ფიქრობს. ჩვენც ის გვინდა, რომ იმან საქმე დროით გადასწყვიტოს და ამ ორში ერთი იქმნას: ან იტალიამ ფრანციის მხარე დაიჭიროს და 3 (15) სეკტემბრის ტრაქტატი უცველელათ დაიცვას, ან არა და, ფრანციამ იმისაგან დადებული პირობების ძალით საზოგადო მშვიდობიანობის და წესიერების გულისათვის რომი იტალიას წაართვას და რევოლიუციის და ანარხიისგან დიახსნას.

გაზეთი „France“ უფრო ზომიერათ ლაპარაკობს იტალიის მმართებლობაზედ, მაგრამ ნანობს, რომ ფლორენციის კაბინეტმა თავის მხრივ უფრო ენერგიული ღონისძიება არ იხმარა, რადგან იმას უფრო შეეძლო საქმე კეთილათ დაებოლოებინა.

ეს გაზეთი ამბობს, რომ ამ უკანასკნელს ორს დღეში მიწერ-მოწერა ფლორენციასა და პარიჟს შორის არც ერთს მინუტს არ შეწყვეტილაო.

ამ მიწერ-მოწერაზეა დამოკიდებული საქმის ავათ ან კარგათ გადაწყვეტა. ფრანციის მმართებლობას უფლება აქვსო, იტალიას მხოლოთ ეს მოსთხოვოს, რომ იმან თავისგნით დადებულს და ხელმოწერილს პირობას პატივი სცეს, იმ პირობას, რომლითაც ის ფრანციას შეეკრა 3 (15) სეკტემბერს. სწორეთ გვითხრას იტალიამ, თუ იმას განზრახვა აქვს, რომ განდგომილებს პაპის სამთავროში არ შეუშვებს.

თუ ფლორენციის კაბინეტს არ შეუძლიან განდგომილები დაიმაგროს, დროით შეგვატყობინოს, მაშინ ორივე სახელმწიფოები ერთათ მოიხმარებენ იმ ღონისძიებას, რომელიც პაპის ტახტს შეურყეველათ დაიცავს.

თუ ფლორენციის კაბინეტი ეხლანდელი საქმის მდგომარეობას სწორეთ მიხვდა და შეიტყო, მაშინ საქმე უეჭველათ პატიოსნურათ და კარგათ გადასწყდება, მაშინ ყველა ხიფათის თავიდგან მოცილება ადვილია.

მაგრამ თუ იტალია ფრანციის შემწეობას არ ინდომებს და რომის ქვეყანას დაიპყრობს თავისის ვალდებულების წინააღმდეგ, მაშინ ფრანცია იძულებული იქნება თავისი პატიოსნება და ღირსება დაიცვას.

მაინც რაც უნდა იყოს, ჩვენ გვინდა, რომ რომის საქმე ჩქარა გათავდეს. ამ გვარი დიდი საქმე ჩქარა რითიმე უნდა გადასწყდეს. ჩვენ მარტო იმას ვამბობთ, რასაც საზოგადოება ლაპარაკობს და როგორც ის ფიქრობს. ყველას ჰსურთ, რომ რომის საქმე ჩქარა დაბოლოვდეს და ხალხის ღელვა მოისპოს.

ამ საქმის ჩქარა დაბოლოვება ამისათვის უფრო საჭიროა, რომ თუ რეოლუციამ გაიმარჯვა და რომი აიღეს, მაშინ ფრანციისათვისაც და იტალიისათვისაც ეს ძნელი საქმე იქნება.

გაზეთი „Temps“ ამბობს, რომ მინისტრების მიუცილებელმა კრებამ, რომელიც სენკლუში იყო თვით იმპერატორის თავს მჯდომარეობით გადასწყვიტა, რომ ფრანცია იტალიის საქმეში გაერიოს.

მსე

გაზეთი—ჩვენ ფრანცუზებზე წინ შეეალთ რომში. საქმე გადაწყვეტილია, ხალხის მოთხოვნილების წინააღმდეგობა სირეგვნე იქმნება. ის მმართებლობა, რომელიც ხალხის მოთხოვნილებას თავს არიდებს, ამით თავისს უღონობას ამტკიცებს. მმართებლობა, რომელიც უცხო ქვეყნელის სახელმწიფოს მუქარას ემორჩილება, თუნდ ეს სახელმწიფო დიდი მეგობარიც და პატივის საცემელიც იყოს, და თავისს წადილზედ ხელს იღებს, ეელარ შეიძლებს ფეხი მოიკიდოს თავისს ქვეყანაში. ვინ დაიჯერებდა, რომ იმპერატორი ნაპოლეონი, რომელიც თვითონაც ხალხის ალმორჩევით არის გახელმწიფებული, ამ ჭეშმარიტებას უარ ჰყოფდა.

ჩივიტა-ვეკიაში ბევრი ისპანიელები და ირლანდიელები მოვიდნენ. იმათ სურთ პაპის ჯარებში გაერიენენ. ნეაპოლის უწინდელი კაროლი ფრანცისკი რომიდგან გასვლას აპირობს. პროკლამაცია, რომელიც აცხადებს რომის ქალაქის ადგომილების გარს შემორტყმას, მოამზადეს. ეს იმისათვის, რომ ბარიბალდის მომხრეებმა პაპის ზუავები დაამარცხეს მონტე-ლიბვეტში.

ინგლია. ლონდონის უმთავრესის გაზეთების სიტყვით ინგლია არაბეთის სამძღვრებზედ ომიანობის დაწყებას აპირებს, რადგანაც ეს ომიანობა უეჭველია ინგლიის კოლონიას რამდენსამე ადგილს შემატებს. ერთი არაბეთის ხალხი, ფუდელისათ წოდებული, დიდი ხანია ადენში დასახლებულ ინგლიელებს ავიწროებს და აწუხებს. ინგლიის მმართებლობამ იმ განზრახვით, რომ იმათ უწესოებას ბოლო მოეღოს ფუდელისებს მძეელათ მთავრის შვილი მოსთხოვა. არაბებმა ამაზედ უარი უთხრეს და აი ამის გამოისათ ადენის გუბერნატორმა შეკრიფა ჯარი ზოგი თვით არაბებისაგან და ზოგი ევროპელებისაგან იმათ დასასჯელათ.

— 5 (17) ოკტომბერს. მანჩესტერში ლორდ დერბის და სხვა ინგლიის მინისტრებს სადილი გაუმართეს. ამ სადილზე ლორდმა დერბიმ გამოაცხადა, რომ ინგლიის მმართებლობა ყოველ ღონისძიებას იხმარებსო, რომ ევროპის მშვიდობიანობა დაიცვასო, და ინგლიის ხალხი ერთობ განკიცხავს იმათ, ვინც იქნებაო ევროპიის მშვიდობიანობის დამრღვევიო.

— აი რას იწერებიან იმ ექსპედიციაზე, რომელიც გაიგზავნა აბისსინიაში. „ამ ექსპედიციის უპირველ სი ზრუნვა იქნებაო, რომ რიგიანი ნავთსადგური იპოვნოს 200 ცეცხლის გემის დასადგომათ და სხვა და სხვა გზები მონახოსო ზღვის პირიდგან. ამ ჟამათ ჯერ ენნესლი.-ბეია დახიშნული, სადაც უნდა მოგროვდნენ ჯარები. ამ ექსპედიციაში ეხლა ირიცხება 100 ქვეითი ჯარი ბომბეიდგან, 40 ცხენოსანი იქიდგანვე, 12 აფიცრები, უმეტესნი გენერალნი შტაბიდგან არიან და 2 ექიმი. უფროსათ არის დანიშნული პოლკოვნიკი მირუეზერი. ერთი ცეცხლის გემი „Scinde“ დაბრუნდა უკან ბომბეიას, რადგანაც ზღვაში ქარმა ძალიან შეაწუხა. რადგან ამ გემზედ კარვები და ტანისამოსები იყო, ამიტომაც ამ შემთხვევამ ძალიან შეაწუხა ექსპედიცია. ორი დანარჩენი გემები კი 14 (26) სეკტემბერს ადენს მოვიდნენ. 149 ჯორებიდგან, რომლებიც ამ გემებზე იყვნენ, 10 დაიხოცა მგზავრობის დროს.“

შეერთებული შტატები. Nord Allgemeine Zeitung-ში სწერენ 11 ოკტომბერს ნუ-იორკიდგან:„ იჰვი არ უნდა, რომ ამ მოკლე ხანში ერთი რამ მოხდება. ალმასრულებელი მთავრობა საშინელს ბრძოლაშია თავისს წინააღმდეგებთან. პრეზიდენტი და სამსჯავრო პალატა მუდამ წინააღმდეგ ბრძანებაებს სცემენ; სამხრეთის შტატების სამხედრო მაზრებში უფროსებათ გენერლებს ნიშნავენ. სულ სცვლის პრეზიდენტი ამ მაზრებში პროკონსულებს, რომელნიც სულით და ხორცით კონგრესის მომეტებულს ნაწილს უდგებიან; მაგრამ ბოლოს ისევ ის გამოდის, რომ ახლათ განწესებულნიც წინანდელი პროკონსულების კვალზედ მიდიან. თითქმის პრეზიდენტის უკეთესი მეგობრები ვინც იყვნენ, ისინიც უორგულდებიან იმას. ისინი წინათ ხედავენ, რომ კონგრესი გაიხსნება თუ არა, პრეზიდენტის ბრძანებას და განკარგულებაებს მაშინვე შესცვლის და იქნება თვითონ ისიც სასჯელში მისცეს. სამხრეთის შტატებიც პრეზიდენტის მადრიელები არ არიან. ისინი პრეზიდენტს იმაზედ ემდურებიან, რომ ჩვენ წინააღმდეგებს ბევრს უთმობო. სახელმწიფოს ამ გვარი მდგომარეობა ძლიერ დიდს ენებას აძლევს სჯულს და ხალხის მმართველობას. სამხრეთი შტატების ქალაქებში: ნევშატელში და ტენესში სახელმწიფო მთავარნი იძულებულნი ხდებიან გვარდიას მოუწოდონ ხალხის დასამშვიდებლათ, რომელნიც ამ მთავრების ბრძანებაები ღელვარებაში მოდიან. გუბერნატორს პერსონ ბროუნლოუს ნევშატელში თავისი განკარგულებანი ჯარის შემწეობით მოჰყავს აღსრულებაში. შიშობენ, რომ ნეგრებიც არ ადგნენ. მუშები სამუშაოთ აღარ მიდიან. სასმელ-საჭმელი ისე გაძვირდა, რომ ერთი დღის სამუშაო ფასი მუშას ცარიელ პურზედ არა ჰყოფნის. სავაჭრო საქონელი საზღვარს გარეთ ცოტაღა გადის. საზღვარს გარედამკი ბევრი საქონელი შამოდის; ამის გამოისათ შიშობენ, რომ სახელმწიფო არ გაკოტრდეს. ეხლა თხოულობენ, რომ სახელმწიფოს ვალი არამც თუ მარტო თეთრი ფულით გადაიხადონ, არამედ ობლიგაციებიც გამოსცენ, ესე იგი თხოულობენ, რომ სახელმწიფოს მოვალეები 66% დასჯერდნენ. სამი წლის ერთმანეთთან ბრძოლამ ეს ზარალი მისცა მხარის კეთილდღეობას და იმისს ვაჭრობას. ამ ომმა მხარე სისხლით შესვარა.

სამხრეთის შტატებში ალმოსრჩეველთ სიამ ისე აიწია, რომ შესაძლებელია შევიტყოთ ვინ უფრო ძლიერები არიან რადიკალების მომხრეები, თუ დემოკრატებისა. პირთეთრების რიცხვი, რომელნიც ალმორჩევაში მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ამბობენ, 525,000 მდინ არის. ხოლო სხვა ფერებისა 617,000 კაცამდინ. პირთეთრებს კონსერვატორების მხარე უჭირავთ, სხვა ფერის მქონებელნიკი რადიკალების მიდგომას აპირებენ.

— 28 ოკტომბერს ნუ-იორკიდგან იწერებიან, რომ ლუიზიანის შტატში დეპუტატების ამორჩევა დაიწყეს და რადიკალებს ეშინიანთ, არ დამარცხდნენ. ბენერლებს შერიდანს და სიკლსა ხალხი კიდევ ყველგან სიყვარულს და პატივის-ცემას უცხადებეს. ახალ-ორლეანში სახადი გაჩნდა. სასწავლებლების ინსპეკტორს ბიუფფალოს სასჯელში მიცემას ეძიდიან, რადგან იმან ნეგრების შვილები სასწავლებლებიდგან გამორეკა.

იქიდგანვე იწერებიან 2 ოკტომბერს. „საფინანსო მინისტრი სამ-პროცენტიანი სერისბილეთის გამოცემას შეუდგა, ობლიგაციების გამოსასყიდველათ, რომლების ვადაც ნოემბერში და დეკემბერში გათავდება. ნევშატელში გათავდა ალმორჩევა. რადიკალებმა აჯობეს დემოკრატებს. ალმორჩეული პირები თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგნენ, მაგრამ ქალაქის მოხელეებმა საჩივარი შეიტანეს, რომ ალმორჩევა წესით არ იყოვო, სიცრუვით იყოვო და იმისთვის ალმორჩეული პირები შესაწყნარნი არ არიანო. ლუიზიანში და ალაბამშიაც ალმორჩევის დროს გამარჯვება რადიკალებს რჩებათ, რადგან თეთრ პირიანები საქმეს გულით არ ეკიდებიან და სხვა ფერის ალმომრჩეველნი ბევრნი არიან. ხმა ისმის, ეითომც გენერალს ქენბის სამხრეთის შტატებში ყველა ხარჯი გადაეგდოს, იმ ხარჯს გარდა, რაც ჩრდილოეთს და სამხრეთის ქაროლინაში იკრიფება შეერთებული შტატების მმართებლობის საძლეეათ.

ეგრეთვე ხმა ისმის, რომ სახელმწიფოში დიდი ცვლილება იქმნებაო. ბენერალმა ბრანტმა მერილანდის მილიციას თოფები არ მისცა და აქედგან გამოჰყავთ, რომ პრეზიდენტი კონგრესის წინააღმდეგ მილიციის ხმარებას აპირებდაო. ამბობენ, რომ ვითომც პრეზიდენტს ვილაც კერძო პირისათვის ეთქვას, რომ კონგრესს ჩემს გამოცვლაზედ წინააღმდეგობას გაუწევო, თუ მე სასჯელს მიმცემენო. ახალ-ორლეანში საშინელი სახადი არის და ძლიერ ბევრს ხოცავს.

ოსმალო. სახალხო გაზეთში იწერებიან 11 ოკტომბერს კოსტანტინეპოლიდგან: ჯერ კიდევ არავინ იცის, როდის დაიწყებენ რკინის გზების კეთებას, რომლის კონცესიაც ოსმალოს მმართებლობამ დიდი ხანია გასცა. რკინის გზა კონსტანტინეპოლიდგან ბელგრადამდინ უფრო ყველაზე საჭიროა. თუ ეს გზა ჩქარა გაკეთდა, მაშინ ოსმალოს დედაქალაქი და სხვა დიდი ქალაქები სულ გამოიცვლებიან. მაშინ შუა ევროპის ქალაქებიდგან კოსტანტინეპოლში და სხვა ოსმალოს ქალაქებში მისვლა, მოსვლა გაადვილდება და გახშირდება. აქამდინ კოსტანტინეპოლი მარტო ზღვის ქალაქი იყო, მაგრამ როდესაც რკინის გზა გაკეთდება, მაშინ ის სხვა მნიშვნელობას მიიღებს, რადგანაც ევროპისკენ ორი გზა ექნება: ზღვით და ხმელეთით.

ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

კოსტანტინეპოლი, 7 (19) ოკტომბერს. დიდმა ვეზირმა ალი-ფაშამ დიდი სახელმწიფოების ელჩების თანადასწრებით კანდიის კუნძულის მცხოვრებლებისაგან ალმორჩეულს პირებს გამოჰკითხა კანდიელების სურვილი და იმათი აზრი ამ კუნძულის შესახებ. წარმომადგენლებმა ყველამ ითხოვეს, რომ კანდია საბერძნეთს შეაერთონ.

ბოსფორი, 8 (20) ოკტომბერს. აფზულ-ხანი გადიცვალა. იმის მემკვიდრეობა მაჰმედ-ხანს მისცეს. აფზულ-ხანის შვილმა თავისთვის ახალი ჯარი შეადგინა. ხმა ისმის, რომ ამირ-შირ-ალი ბერათში დაიმალაო იქაურს გუბერნატორს შემწეობას სთხოვსო.

ათინა, 9 (21) ოკტომბერს. სამინისტრომ პალატის დეპუტატებს მოსთხოვა, რომ იმისაგან დახარჯული ოთხი მილიონი დრახმი დაამტკიცონ და სხვა შვიდი ახალი კრედიტი დანიშნონ სამხედრო ხომალდის და იარაღის საყიდველათ.

ფლორენცია, 9 (21) ოკტომბერს. ჯერ გენერალს ჩიალდინს ახალი სამინისტრო არ შეუდგენია.

რადგან გაიგეს, რომ ფრანცის მმართებლობა რომის საქმეში ერევაო, ხალხი ძლიერ ტელავს. ვენეციაში რამდენიმე დემონსტრაციები იყო. ხალხი ყვიროდა: „იტალიის დედა ქალაქს, რომს გაუმარჯოს!“ ხმა ისმის, რომ ბარიბალდი ქაპრერის კუნძულიდგან წამოსულა და ეხლა თავისს შვილთან, მენოტთან არის.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 18 ოკტომბერს. ფრანცუზის ჯარი ტულონიდგან განემგზავრა ჩივიტა-ვეკიას. სახელმწიფო მინისტრის სიტყვით, ფრანციის იმპერატორს უნდა მხოლოდ შეაჩეროს მერეოლუციენი, რომელნიც ფლორენციისთვის და რომისთვისაც სასაშიშრონი არიან. ბარიბალდი ხუთი ათასი კაცით დგას მონტე-როტონდოსთან. ქაროლმა ვიკტორ-ემმანუელმა გამოსცა პროკლამაცია იტალიელებთან და იმაში სწერია, რომ იტალიამ ფრანციასთან მორიგებით უნდა მოსძებნოსო საუკეთესო გზა, რომ, როგორც რიგია, რომის საქმე, ისე წარმართოსო. ჩიალდინიმ სამინისტროს თავი დაანება და იმის მაგივრად მენაბრეა შეიქნა ახალი სამინისტროს თავი.— ავსტრიის იმპერატორმა გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც უნდა შეუდგენენ დეპუტატების ამორჩევას ხორვატის სეიმისთვის. სერბიამ წარუდგინა პორტას მეორე ნოტა, რომ იმან პასუხი გასცეს ცეცხლის გემზე, „ბერმანიაზე“, სისხლის ღვრისათვის. სერბიის საზღვარზე დგას ოსმალოს ჯარი, რომელიც შეიცავს ათი ათასს კაცსა.

პეტერბურგი, 21 ოკტომბერს. პეტერბურგის ოფიციალურს გაზეთებში დაბეჭდილია დეკლარაცია, რომელიც რუსეთის, ფრანციის, პრუსსიის და იტალიის წარმომადგენლებმა გადასცეს ოსმალეთის მმართებლობას; ამასთანავე იმავე გაზეთში დაბეჭდილია რუსეთის უცხო ქვეყნის მინისტრის, კნიაზის ბარჩაკოვის ცირკულიარი, რომელიც ხსნის ამ დეკლარაციის აზრს. ზემოხსენებულს დოკუმენტებში სწერია: „რუსეთის მმართებლობამ ყოველი ღონისძიება იხმარა თავის მონათესავე და თანა მერჯულე ხალხების სასარგებლოთ და ამასთანავე დარწმუნდა, რომ სხვა საშუალება აღარა დარჩა რა გარდა იმისა, რომ აღარ გაერიოს ოსმალეთის საქმეებში და ამით მოისპოს მიზეზი საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევისა. ხელმწიფე იმპერატორმა წინადადვა გაურეველობის პრინციპი და თავის მხრით ის მზათ არის ეს პრინციპი აასრულოს, მინამ სხვა სახელმწიფოებიც პატივს სცემენ ამ პრინციპს. სახელმწიფოები, რომელთაც ამ დეკლარაციას ხელი მოაწერეს, ხელს არ იღებენ იმ სულგრძელს ვალდებულებაზედ, რომლის ასრულებას მათ სეინიდისი აიძულებდა. ამასთანავე ისინი თავიდგან იშორებენ ყოველს პასუხის გებას; რაც ამას იქით მოხდება პორტის მოქმედებისაგან, ის იმან თვითონ თავის თავს უნდა დაებრალოს. იტალიის ჯარი პაპის მაზრაში შევიდა მაშინვე, როგორც კი ფრანცუზები ჩივიტა-ვეკიაში გამოვიდნენ, რადგანაც ფლორენციის ოფიციალურის გაზეთის სიტყვით, სეკტემბრის კონვენციით ორივე მხარეს, რომელთაც ეს პირობა შეკრეს, ერთ გვარი ვალდებულება აქვთ.—ბარიბალდი 17 ოკტომბერს იდგა ოსსასთან, რომიდგან $2\frac{1}{2}$ მილზედ. ბარიბალდიელები, 12 ბატალიონის რიცხვით, ერთათ იტალიის კაროლის ჯარით გაემგზავრნენ აკვაპენდენტოს, ორტეს, ჩივიტას და ფროზინონესაკენ. ფრანცუზის ჯარი ჯერ კიდევ ჩივიტა-ვეკიაში დგას. ფრანცუზის მმართებლობამ გაუგზავნა სხვა სახელმწიფოებს ცირკულიარი, რომელშიაც ის ამბობს, რომ რომის საქმეებისა გამო ის აღარ იქმნება პასუხის გებაში, თუ ევროპის სახელმწიფოები არ დაეთანახმებიან მას კონფერენციის შეყრაში; ფრანცია არ ეცდება, რომ პაპის საერო უფლება დარჩეს; ამ საქმისაგამო იმას და იტალიას შუა ომი არ ასტყდება.— ლონდონიდგან იწერებიან, რომ გრაფი როსსელი მიიცვალაო.

პეტერბურგი, 23 ოკტომბერს. პირველმა იტალიის მინისტრმა მენაბრეამ გაუგზავნა სხვა სახელმწიფოებთან მყოფს იტალიის ელჩებს ნოტა, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ საჭიროა არ იყოვო ფრანცუზები რომის საქმეებში გარეულიყვნენო. პაპის ნაქირავები ჯარიც საკმაო იყოვო, რომ ის დაეფარაო. როცა ფრანციის მმართებლობამ არ მიაქცია ყურადღება იტალიის მმართებლობის ფორმალურს განცხადებას და პროტესტს და გაერია კიდევ რომის საქმეებში, მაშინ იტალიის მმართებლობამ თავის ჯარი პაპის მაზრაში შეიყვანა, რადგანაც ამას მოითხოვდა იმისი ღირსება და პატივი. ამ გვარი გადაწყვეტილება არ აჩვენებს მტრობას ფრანციისადმი; იტალიის ჯარებს ბძანება მიეცათ, რომ იმათ ეცადონ არ მოხდეს იმ გვარი შეტაკება, რომელსაც შეუძლიან უაღრესი დაბრკოლება აღძრას. ბაზეთი „Epoque“ ამბობს, რომ ფრანციამ დაიწყოვო საომრათ მზადება, მენაბრეას ცირკულიარის მიღების შემდ გ; ტულონიდგან გაუწყვეტლივ პაპის მაზრაში ჯარებს ჰგზავნიანო. ფრანცუზებმა რომს გარდა ვიტერბო დაიჭირეს და ახლა ველლეტრისაკენ

მიემართებიან. ფროზინონეს გარდა იტალიის ჯარს ჯერ არ დაუჭერია არც ერთი სხვა შესანიშნავი ქალაქი რომის მაზრაში. დიდმა-ვეზირმა ალი-ფაშამ პროკლამაციით გამოუცხადა კანდიელებს, რომ მორიგების ვადა გათავდაო, დრო მოვიდაო, რომ ენერგიულათ ვიმოქმედოთო კუნძულის დაამშვიდებლათ და მცხოვრებლების წარმომადგინელების შემწეობით მოვახდინოთო ადმინისტრატივული ცვლილება; სულთანის ჯარი დაიკავესო კუნძულის დამშვიდებულს მცხოვრებლებს; სასამართლოები ახლავე დაიწყებენო მოქმედებას; მცხოვრებლების საჭიროებანი დაკმაყოფილებულნი იქმნებიანო.—ელინების (ბერძნების) კაროლი და კაროლევა ვენაში 29 ოკტომბერს მივლენ.

ფიქრი სოფელში.

ღამესა ერთსა მქონდა სურვილი
და გაველ გზაზე დაფიქრებული,
რომს იყო მიწა ნისლით ბურვილი,
ჩნდა გზა კაჟისა გაბრწყინებული.

იყო რა ღამე დაწყნარებული
და სიმყუდროე თითქოს ღმერთს სთხოვდა,
ვარსკვლავიც მაღლა ცაზედ რებული,
ამო ამბავთა სხვებთ მოუთხრობდა.

მხიარულება გამოუთქმელი,
საკვირველათა იყო მაზედა,
მტრედისა მსგავსად ფერის მიმრქმელი,
მძინარს მიწასა მუნით დასქერდა.-

ამ დროს ფიქრითა აღტაცებულსა,
მე მომაგონდა ესე საოქმელი:
რაა რომ მტკივა დაღონებულსა?
ან რა მაწუხებს მე აგრე ძნელი?

თუ ვუცდი რასმე ნეტავ ვიცოდე
და თუ ვინაღვლი, რა უნდ იყოს?
არ მაგონდება თუ ვისმე ვსცოდე,
მაშ ამ ფიქრებმა რად უნდა წამიღოს.

ოხ, დასტურ! არა, ჩემს სიცოცხლეში
მე არ მოველი არას შვებასა;
არც წარსულთათვის მე არა ვხენეში,
მით დავივიწყებ ჩვეულებასა.-

აი რას ვეძებ, კი მომაგონდა:
თავის-უფლებას, განსვენებასა,
რომელიც ფიქრში დიდის ხნით მქონდა,
რომ მივსცემოდი დავიწყებასა.

მაგრამ არ მინდა, რომ დავიძინო,
ვიყო უგრძნობლად ცივს მიწას ქვეშა;
მსურის ყოველი მე მოვისმინო,
თუ ვინ რა ჰაზრით ამოიხვნეშა.

მსურის ძარღვებში, ჩვეულებრ თრთოდეს
სიცოცხლის ძალი დაუძინარი,
საყვარლის ამბით მე დამატკბობდეს,
დღე გინა ღამე მოუწყინარი.

აღმწვანებულის ცაცხვისა ჩრდილი,
სასიამოვნოდ ზედ დამფენოდეს,
მისი შტოები იგრგვლივ დახრილი
საამო ამბავს მიბუტბუტებდეს.

მისი ღულუნი გამაგონებდეს
ჩემის სატრფოის წარმატებასა,
ფოთოლთ შრიალი მიგალობებდეს,
მისსა უდარდელს მდგომარეობასა.

მიწა სამშობლო ცაცა ზეციდან,
ტკბილის ღიღინით მიალერსებდნენ:
ჩემის საყვარლის ხსნასა კვნესიდან
ხან-დაუზმელად მიმეორებდნენ.-

ალექსანდრე მეგრელი.-

სხვა და სხვა ამბავი.

„თქვენ იქნება გახსოვდეთ რუსეთელი აგიტატორი, უფ. ქელსიევი, რომელიც ამ ორი თუ სამი თვის წინათ თავის თავათ რუსეთის მმართებლობას გამოეცხადა და თავი დაუკრა. იმან საქვეყნოთ შეინანა თავისი შეცთომა—და თავის ამხანაგების, რომელნიც სამძღვარს გარეთ გაიქცნენ. როდესაც უფ. ქელსიევი რუსეთში მოდიოდა, დარწმუნებული იყო, რომ იმას უთუოთ დასჯიდნენ, მაგრამ იმედოვნებდა, რომ რამდენიმე ხანის განმავლობაში სასჯელს შემიმსუბუქებენო. ეს იმის მობრუნება ისე ახალი და შესანიშნავი იყო, რომ პოლიციის დროებით უმფროსმა (რადგანაც გრაფი შუვალოვი ამ დროს პეტერბურგში არ იყო) გენერალი მეზენცოვმა საჭიროთ შერაცხა ეს საქმე ხელმწიფე იმპერატორისათვის შეეტყობინებინა. უფ. ქელსიევს დაწერილებით ჩვენება ჩამოართვეს იმის წინანდელი ცხოვრების შესახებ. უ. ქელსიევმა, რომ დაინახა ჩემს სიტყვებს სტენოგრაფი სწერსო, ითხოვა ჩემს ბიოგრაფიას მე თვითონ დაეწერო. ეს იმის თხოვნა შეიწყნარეს. მაშინ უფ. ქელსიევმა დასწერა ერცელი მოთხრობა თავის ცხოვრებაზედ სამძღვარს გარეთ. იმან ეგრეთვე აღწერა თავისი მონაწილეობა სარეოლიუციო პროპაგანდაში და მიზეზები, რამ აფიქრებინა თავისი უწინდელი ქცევა შეენანებინა. ეს მოთხრობა ძრიელ გულის ამღძვრელი იყო. როდესაც ავტორი თავისსგნით შესრულებულს საქმეებზედ ლაპარაკობს, ცდილობს, რომ სხვებს არ შეეხოს და სხვებიც არ გაუპატიუროს. ეს დოკუმენტი პირდაპირ ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინეს და ვინემ პასუხი გამოვიდოდა უფ. ქელსიევი დაჭერილი იყო, მაგრამ იმისთანა სახლში იყო, სადაც ტუსაღებს ძრიელ კარგათ ინახავენ და თითქმის ლაღობაც აქვთ. დიდმა ხანმა გაიარა და აი ბოლოს ამ კვირია გენერალმა მეზენცოვმა გამოუცხადა უფ. ქელსიევს, რომ ის თავისუფალია, რომ ხელმწიფე იმპერატორმა აპატიეა იმას იმისი წინანდელი ქცევა და იმედოვნებს, რომ ახლა სასარგებლო მოქალაქე შეიქმნება. უფ. ქელსიევი მაშინვე გაანთავისუფლეს და ნება მისცეს პეტერბურგში იცხოვროს და რაც სურს ის აკეთოს, თავისს სტატიაებს ხელი აწეროს და თუ ისურვებს სამსახურშიაც შეეიდეს.

მაქსიმელიანეს მოკვლა. ნაამბობი იმ კაცისა, რომელიც დასწრებია მაქსიმელიანეს დახვრეტის დროს. სხვა და სხვა გაზეთებში იყო დაბეჭდილი მრავალ გვარი ამბავი მეხიკის იპერატორის მოკვდინებაზე, მაგრამ არც ერთი იმათგანი ნამდვილი არა ყოფილა. ოტა არ იყოს, ყველა ცრუობდა ამ შემთხვევაში. ახლა როგორც ერთი ანგლიელი გაზეთი გვიმტკიცებს, თვითონ იმაშია დაბეჭდილი ძალიან ნამდვილი მოთხრობა შედგენილი იმისთანა კაცის ნაამბობისგან, რომელიც დასწრებია მაქსიმელიანეს დახვრეტაში. ამ ამბავს მოგვითხრობს იმპერატორის ერთგული ყმა ტიუდოსი, რომელსაც ეთანახმებიან თვითონ ის მღვდლები, რომელნიც მაქსიმელიანეს ახლდნენ იმის უკანასკნელს ჟამსა. იმპერატორის საპყრობილესთან მცველებს შორის მყოფი აფიცრებიც გვიმტკიცებს ამავე ამბავსა. აი სხვათა შორის რაა დაწერილი ამ მოთხრობაში: „როდესაც იმპერატორი მიახლოვდა იმ ადგილს, საცა ის უნდა დაეხვრიტათ, გარემომდგომარე პირებს ითხოვდა შენდობას, ისე როგორც თავის მხრით სხვებს შეუნდო. ამას შემდეგ წამოიძახა: „ღმერთმა ადღეგრძელოს მეხიკა, ღმერთმა ადღეგრძელოს იმისი დამოუკიდებლობა“. იმისმა დიდებულებამ გულზე ხელი დაიდვა, აჩვენებდა სალდათებს, სად უნდა დაემიზნათ და მერმეთ გაშალა ხელი, რომ ესროლონ. იმავ წამს ანიშნეს და ოთხმა სალდათმა თოფები ესროლეს. იმპერატორმა ზეცას შეხედა და მიწაზე ნელა დაეცა. ოთხივე ტყვია მოხვდა: სამი სტომაკში და ერთი მარცხენა გვერდში. მაქსიმელიანე შეაცქერდა ტიუდოს და ხელები გაიქნია, უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ ენა აღარ ენძრეოდა. ერთი მღვდელი იმის მახლობლად იდგა და წმინდა წყალი ასხურა. მეხუთე სალდათი ამ დროს მიუახლოვდა და ესროლა თოფი მარჯვენა გვერდში; ტყვიამ ფილტვები გაიტანა. თოფის ტუჩი ისე ახლოს მიიტანა სალდათმა, რომ იმპერატორის ჟილეტს ცეცხლი მოედო, მაგრამ ტიუდოსმა წყლით გააქრო. იმპერატორი ხელით ისწევდა ჟილეტს, თითქოს უნდოდა იმისი გახსნა და მეხუთე ღილზე ქვემოდგან კიდეც გაგლიჯა. რადგან ეტყობოდა, რომ ჯერ კიდევ სული არ ამოხდომოდა, მეექვსე სალდათი მიუახლოვდა კიდევ თოფითა, მაგრამ თოფმა ფალია აიწვა. ამ დროს ცხენით მოვარდა გენერალი დიაცი და ბრძანა, რომ მალე მოუსწრაფონ სიცოცხლე საცოდავს იმპერატორს; მეშვიდე სალდათმაც დაუმიზნა, მაგრამ იმის თოფმაც ფალია აიწვა. იმპერატორი სიკვდილს ებრძოდა. მინამ გატენილს თოფს კიდევ იშოვნიდნენ, რამოდენიმე წამი გავიდა. ბოლოს ერთი თოფი კიდევ ესროლეს. ტყვიამ გული გაურღვია იმპერატორსა და სული ამოხდა. იმის ტანსაცმელს ხელმეორეთ გაუჩნდა ცეცხლი და ტიუდოსმა ხელმეორეთ გააქრო. იმპერატორის გვამი ჩაასვენეს ერთს მოკლე ხის კუბოში. ბვამი რომ ვერ გაიმართა, ფეხები ზემოთ ჰქონდა ამოშვერილი. ამ სახით წაიღეს ქვერეტაროს.

სომხების კათოლიკოზის მისვლა მოსკოვს და პეტერბურგს.

ენკენისთვის 19-დამ გაზეთში Москва-ში სწერენ, რომ მოსკოვში მისულა სომხების კათოლიკოზი ბეორქ. მოსკოვში მცხოვრებელი სომხები მრავალნი შეყრილან რკინის გზის სტანციაზე, რომ დახვედროდნენ თავიანთ უმთავრესს მწყემსსა. ენკენისთვის 19-სა 12 საათზე კათოლიკოზი სომხების საყდარში ყოფილა. ჩამოხდარა დასადგომათ ანანოვის სახლში. საყდარში წასვლის დროს ამ სახლიდამ ეკლესიამდინ მღვდელი დროშებით წინ მიუძღოდაო. ეკლესიის გალავანში ორ რიგათ გამწკრივებული დახვედრიან ლაზარევის ინსტიტუტის მოსწავლენი, რომელთაც ყვავილები უფენიათ გზაზედა. ბალავანის კარებიდამ წარჩინებულს სომხებსა კათოლიკოსი ბალდახინს ქვეშ მიუყვანიათ საყდარში. დალოცვის დასრულებისას კათოლიკოსს წარმოუთქვამს ლოცვა რუსეთის კეთილ-დღეობისათვის, ხელმწიფე იმპერატორისათვის და იმ სახელმწიფო გვარეულობისთვის, საყდრის დამფუძნებელთ ლაზარევებისათვის და მთელი სომხის ხალხისთვის ეკლესიიდგან წასულა მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღმსრულებელთან.

როგორცა სჩანს ქვემომოტანილის ამბიდამ პეტერბურგში კათოლიკოსი წასვლამდინ 13 დღე დარჩენილა მოსკოვში.

გაზეთში „Голосъ“-ში სწერენ: ღვინობისთვის 4-სა სომხების კათოლიკოსი მოვიდა პეტერბურგს. ამ წელს მარიამობის თვეს კათოლიკოსათ ნაკურთხმა მოინდომა ეჩმიაწინდამ მოსვლა პეტერბურგს, რომ ხელმწიფე იმპერატორს წარუდგეს. ამის მეტათ პეტერბურგს სულ არ უნახავს სომხის ეკლესიის თავი. სომხის ეკლესიის ადათით და კანონით კათოლიკოზებს ყოველთვის არჩევს მთელის სომხის ხალხი და მერე ამტკიცებს რუს-ხელმწიფე. ადრე კი 1828 წლამდინ კათოლიკოსს ამტკიცებდა ან შაჰი, ან ხონთქარი, მანამ ოსმალოს ომი დაიწყებოდა.

სახაზრნო განცხადება.

Закавказскій Вѣстникъ № 83)

1.) კავკასიის აქეთის პრიკაზი საზოგადო მზრუნველობისა უცხადებს, რომ ტფილისის ქალაქის სამკურნალოსთვის უნდა დამზადდეს 1868 წლისთვის სასაჭმო სამზადისი და სხვა მოთხოვნილება, მაგალითად: გამომცხვარი პური, ხორცი, ბრინჯი, მარილი, ერბო, ფქვილი, საპონი, თივა, ძაფი, შავი ქლიბანი, ქუნჯუთის ზეთი, სტეარინის სანთლისა, ქონის სანთელი, ქერი, მწვანილი და ბოსტნეულობა, სულ ესენი 7743 მანეთისა და $25^3/_4$ კაპეიკისა. ამაზე არის ტორგი დანიშნული პრიკაზთან 10 ნოემბერს და პერეტორჭკა 14 ნოემბერს. ზემოხსენებული სამზადისის დამზადება უნდა მოხდეს იმ რიგათ, როგორც დამტკიცებულს კონდიციაში მოხსენებულია, ვისაც ჰსურთ ტორგში მონაწილეობის მიღება, იმათ შეუძლიანთ თვითონ პრიკაზში შეიტყონ დაწერილებითი ცნობა ამ საგანზე.

2) კავკასის სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამმართველო აცხადებს, რომ 1868 წლისათვის საინტენდანტოს ეჭირვება ყუთები და სხვევი მასალები. ამ იჯარის გასაცემათ არის დანიშნული ტორგი ტფილისში საინტენტანტო სამმართველოში, სტავროპოლში და პეტროვსკში ამ წლის 12 დეკემბერს, ხოლო პერეტორჭკა 20-სა.

6) ტფილისის გუბერნიის სასამართლოში 1867 წ. 19 სეკტემბერს გადასწყდა, რომ საზოგადო დაფასებით გაისყიდოს უძრავი ქონება, კუთვნილი აზნაურის ალა-ბეგ—ედიგაროვისა. ეს ქონება იმყოფება მესამე კვარტალის მეორე ნაწილში თათრის მოედანზე № 3,4,5, 10 და უნომროთ. ქონებას შეიცავს, 1) სამი ქვითკირის დუქანი, რომელსაც უჭირავთ მიწა 5 საჟენი სიგრძე და სამი სიგანე; 2) ერთს ამგვარსავე დუქანსა, რომელსაც უჭირავს საჟენი და ორი არშინი სიგრძე და სიგანე ცხრა არშინი; და 3) სამი შენობა მიწის ბანითა და მიწით, რომელიც შეიცავს 120 კვადრატის საჟენსა ყოველი მორთულობით და გზით დაფასებულია 3500 მანეთათ. ამ ქონების გასყიდვის ვადა დაწინულია მომავალის იანვრის 22 რიცხვს, 1868 წელს დილის 11 საათზე. ვისაც ჰსურს ამ ქონების მოპოება, უნდა გამოცხადდეს დანიშნულს ვადაზე ტფილისის გუბერნიის სასამართლოში, სადაც შეიტყობს დაწერილებითს აღწერას და ნახავს ყველა კუთვნილს ქალალდებს ამა ქონებისას.

7) კავკასიის აქეთის პრიკაზშია 1868 წელს 5 თებერვალს დანიშნული ტორგი კანონიერის პერეტორჭკითა გასასყიდათ სახლებისა მიშენებულებითურთ, რომელნიც ეკუთვნიან ოვაკიმ ტერ-კაზაროვს. სახლები მდებარებენ ქ. ტფილისის მესამე კვარტალის 1-ელს ნაწილში. ვისაც ჰსურს ამ სახლების ყიდვა, შეუძლიანთ საფასო სიები პრიკაზში იხილონ.

8) დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ნება ყოფლობით კავკასიის აქეთის პრიკაზმა ხელმეორეთ დანიშნა ტორგი თელავს-სიგნახის უეზდში გასასყიდათ მამულისა, რომელიც ეკუთვნის ქვემოხსენებულს სიგნახის უეზდის მებატონეებს: 1) პოლკოვნიკს იასსე ანდრონიკაშვილს (გარდაცვალებულს), 2)თავადს ივანე იოსების ძეს ანდრონიკაშვილს, 3) თავადს ივანე დიმიტრის ძეს ოანანო-ვახნაძეს. ვისაც ჰსურს ზემოხსენებული მამულების ყიდვა, იმათ შეუძლიანთ ამ მამულების საფასო სიები იხილონ თელავის უეზდის სუდში.

9) დიდი მთავრის კავკასიის ნამესტნიკის ნება-რთვით ზემოხსანებულს პრიკაზში დაინიშნა ხელმეორეთ ტორგი კანონიერის პერეტორჭკით 1868 წლის 5 თებერვალს გასასყიდათ სახლებისა, რომელნიც ეკუთვნიან ტფილისის მცხოვრებლებს სოლომონს და ბრიქურს მიკირტუმოვებს. სახლები დგანან ქალაქის ტფილისის 1 კვარტალის მესამე ნაწილში. ვისაც უნდა ზემოხსენებული სახლი, იმას შეუძლია შეიტყოს ფასი კავკასიის აქეთის პრიკაზში.

10) იმავე პრიკაზის განკარგულებით ქუთაისის გუბერნიის სასამართლოში დანიშნულია 1868 წლის 5 თებერვალს ტორგი კანონიერის პერეტორჭკით გასასყიდათ მამულისა, რომელიც ეკუთვნის კნეინა ქაიხოსროს ასულს წერეთელს. ეს მამული მდებარებს ქუთაისის გუბერნიის შორაპნის უეზდის სოფლებში ჩიხას ბოდორას, ჯალაურთას, ჭილოვანს და სარეკს. ვისაც ზემოხსენებული მამულის ყიდვა უნდა, იმას შეუძლია შეიტყოს ფასი ქუთაისის გუბერნიის სასამართლოში.

11) ზემოხსენებული პრიკაზის განკარგულებით 1862 წელს, 5 თებერვალს ბორის უეზდში დანიშნულია ტორგები კანონიერის პერეტორჭკით გასასყიდათ მამულებისა, რომელნიც ეკუთვნიან ზემოხსენებულს ბორის უეზდის მებატონეებს: 1) კნეინა თამარა ბიორგის ასულს აბაშიძეს, 2) კაპიტანის ცოლს ელისაბედს შეტოვისას, 3) პრაპორშჩიკს თავადს ესტატე მირიმანოზის ძეს ერისთავს, 4) პრაპორშჩიკს კოსტანტინეს, პოდპორუჩიკს ბიორგის და ელისბარს ერისთავს, 5) თავადს დავითს ივანეს ძეს ერისთავს; 6) კნეინა ბარბარე იორამის ასულს ციციშვილისას. ვისაც ჰსურს ამ მამულების მოპოვება, იმათ შეუძლიანთ დაწერილებითი ცნობა შეიტყონ ბორის უეზდის სუდში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го октября 1867 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.